



თბილისის სააპელაციო სასამართლო
ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №28/4378-10

19 აპრილი, 2011 წელი
თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე, მომხსენებელი - ქეთევან მესხიშვილი
მოსამართლეები – ნატალია ნაზლაძე, ნათია ბუჯაბიძე

სხდომის მდივანი – ქეთევან ფხოველიშვილი

აპელანტი – ნ. ბ.

წარმომადგენელი – ც. ც.

მოწინააღმდეგე მხარე – მ. გ.

წარმომადგენელი – მ. ყ.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება

1. აპელანტის მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა
2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება



მ. გ.-ს მიერ ნ. ბ.-ს, ნ. ს.-სა და დ. თ.-ს მიმართ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნები;

2008 წლის 8 ივლისის ნოტარიუს მ. ბ.-ს მიერ დამოწმებული მინდობილობის (სანოტარო რეესტრის რეგისტრაციის №X-XXXX) ბათილად ცნობა (ტომი I, ს.ფ. 63);

მ. გ.-ს, ნ. ს.-სა და ნ. ბ.-ს შორის 2008 წლის 10 ივლისს გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის №X-XXXX) ბათილად ცნობა (ტომი I, ს.ფ. 63);

მ. გ.-სა და ნ. ბ.-ს შორის 2008 წლის 12 აგვისტოს გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის №X-XXXX) ბათილად ცნობა (ტომი I, ს.ფ. 63);

მ. გ.-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მდებარე თბილისში, ნ.-ს ქუჩა №XXX, კორპუსი №X, ბინა №X) დარეგისტრირებული იპოთეკის გაუქმება (ტომი I, ს.ფ. 63).

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. გ.-ს სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი 2008 წლის 8 ივლისის ნოტარიუს მ. ბ.-ს მიერ დამოწმებული მინდობილობა (სანოტარო რეესტრის რეგისტრაციის №X-XXXX). ბათილად იქნა ცნობილი მ. გ.-ს, ნ. ს.-სა და ნ. ბ.-ს შორის 2008 წლის 10 ივლისს გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის №X-XXXX). ბათილად იქნა ცნობილი მ. გ.-სა და ნ. ბ.-ს შორის 2008 წლის 12 აგვისტოს გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის №X-XXXX). იპოთეკისგან გათავისუფლდა მ. გ.-ს საკუთრებაში არსებული ქონება მდებარე თბილისში, ნ.-ს ქუჩა №XXX, კორპუსი №X, ბინა №X (საკადასტრო კოდი №XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX.).

დასკვნები შაჰტოვრიზ ბარემოვებთან დაკავშირებით

2.1. 2008 წლის 8 ივლისს თბილისის ნოტარიუს მ. ბ.-ს მიერ დამოწმდა მინდობილობა (სანოტარო რეესტრის რეგისტრაციის №X-XXXX) (ტომი I, ს.ფ. 19);



2.2. მ. გ.-ს (წარმოდგენილი დ. თ.-ს სახით), ნ. ს.-სა და ნ. ბ.-ს შორის 2008 წლის 10 ივლისს გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის №X-XXXX) (ტომი I, ს.ფ. 12-14);

2.3. მ. გ.-სა (წარმოდგენილი დ. თ.-ს სახით) და ნ. ბ.-ს შორის 2008 წლის 12 აგვისტოს გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის №X-XXXX) (ტომი I, ს.ფ. 15-18);

2.4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 იანვრის განაჩენით დ. თ. ცნობილი იქნა დამნაშავედ ჩადენილი თაღლითობისათვის, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთისა და ქონებრივი უფლების მოტყუებით დაუფლების გამო (ტომი I, ს.ფ. 20-24).

2.5. დ. თ.-მ მ. გ.-ს, მოტყუებით, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ნაცვლად ხელი მოაწერინა მინდობილობაზე, რომლითაც მიიღო მ. გ.-ს სახელით სესხის აღებისა და ბინის განკარგვის უფლება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოპასუხეს შეუძლია ცნოს სარჩელი. სარჩელის ცნობა სრულად შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განმტკიცებულ დისპოზიციურობის პრინციპს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად, ერთი მხარის მიერ ისეთ გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება, საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძველად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას. სასამართლოს მითითებით, მოპასუხე დ. თ.-მ სარჩელი ცნო და დაადასტურა, რომ მ. გ.-ს მოტყუებით ამ უკანასკნელის კუთვნილი ბინით უკანონო სარგებლობის მიღების მიზნით სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ნაცვლად ხელი მოაწერინა მინდობილობაზე, რომლის საფუძველზე მიიღო უფლება, მ. გ.-ს სახელით დაედო სესხის ხელშეკრულება და განეკარგა მ. გ.-ს კუთვნილი უძრავი ქონება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმეში წარმოდგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 იანვრის განაჩენი, რომლის საფუძველზე დასტურდება მ. გ.-ს მოტყუების ფაქტი.



დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით

2.6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ. იმავე კოდექსის 81-ე მუხლის თანახმად, თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა.

სასამართლოს მითითებით, როგორც დადგენილ იქნა, მ. გ.-ს დ. თ.-მ მოტყუებით, ნაცვლად სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებისა, ხელი მოაწერინა მინდობილობაზე, რაც, სასამართლოს დასკვნით, აღნიშნული მინდობილობის ბათილობის საფუძველს წარმოადგენს.

2.7. სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს, დააბრუნოს იმავე ხარისხის და რაოდენობის ნივთი.

იპოთეკა არის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება და მისი მონაწილეები არიან იპოთეკარი და მესაკუთრე.

სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული გარიგებების დადებისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მსესხებლის და მესაკუთრის ნებას, სესხის სახით მიიღოს თანხა და მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დატვირთოს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მ. გ.-ს, როგორც მსესხებელს და ბინის მესაკუთრეს, სესხის აღებისა და საკუთარი უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის ნება არ გამოუვლენია. შესაბამისად, სასამართლოს დასკვნით, 2008 წლის 12 აგვისტოსა და 2008 წლის 10 ივლისის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებები ვერ ჩაითვლება დადებულად. სასამართლოს განმარტებით, მსესხებლისა და მესაკუთრის ნების გამოვლენის გარეშე დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებები ბათილია, ვინაიდან ისინი ეწინააღმდეგება კონსტიტუციით გარანტირებულ საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპსა და საკუთრების აბსოლუტურ ხასიათს.



3. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

3.1 სამოქალაქო კოდექსის 84-ე მუხლის მიხედვით, მოტყუებით დადებული გარიგების შეცდომების ვადაა ერთი წელი. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული ვადა მოსარჩელეს გაშვებული აქვს, ვინაიდან მან სარჩელი აღძრა 2010 წლის 23 მარტს. მართალია, მოსარჩელემ სარჩელის აღძვრამდე – 2009 წლის მაისში განცხადებით მიმართა პროკურატურას დ. თ.-ს მიერ მოტყუების ფაქტთან დაკავშირებით, მაგრამ პროკურატურისადმი მიმართვა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ იწვევს. პროკურატურა არ არის ორგანო, რომელსაც შეუძლია, დააკმაყოფილოს მოსარჩელის მოთხოვნა გარიგების ბათილად ცნობის თაობაზე. ამდენად, სარჩელი მინდობილობის ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში, ხანდაზმულია.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ სარჩელი მინდობილობის ბათილად ცნობის ნაწილში ემყარება დ. თ.-ს მიმართ გამოტანილ 2010 წლის 26 იანვრის გამამტყუნებელ განაჩენს. 2010 წლის 1 ოქტომბრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლში შევიდა ცვლილება, რომლის შედეგად სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას სამოქალაქო საქმის განხილვისას არ ენიჭება პრეიუდიციული ძალა. გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია 2010 წლის 3 ნოემბერს და ამდენად, სასამართლო 2010 წლის 26 იანვრის განაჩენს არ უნდა დაყრდნობოდა.

მართალია, დ. თ.-მ აღიარა, რომ მან მოატყუა მ. გ., მაგრამ დ. თ.-მ ასევე განმარტა, რომ მ. გ.-ს წაუკითხეს მინდობილობის ტექსტი. როგორც საქმის გარემოებებიდან ირკვევა, დ. თ.-ს მიერ მ. გ.-ს მოტყუება გამოიხატება იმაში, რომ მას მიღებული თანხა არ გადასცა, რაც არც მინდობილობისა და არც სესხის და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველს არ წარმოადგენს.

მინდობილობის მოტყუებით ხელმოწერის ფაქტთან დაკავშირებული გარემოების დასადგენად სასამართლომ უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა ნოტარიუს მ. ბ.-ს დაკითხვის თაობაზე იმასთან დაკავშირებით, რომ დასახელებული გარემოება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით ღვინდებოდა;

3.2 სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი იმ საფუძველზე, რომ თითქოს მ. გ.-ს ასეთი ხელშეკრულების დადების ნება არ გამოუვლენია. აღნიშნული მოსაზრება არასწორია. მოსარჩელე სწორედ იმას დაგობს, რომ სურდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადება და ამის ნაცვლად ხელი მოაწერინეს მინდობილობაზე.



4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის საფუძველზე, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას საქმეზე.

განსახილველ შემთხვევაში პალატა თვლის, რომ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

ფაქტობრივი დასაბუთება

სააპელაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის, მტკიცებულებათა გამოკვლევის, მათ შორის, მოწმის სახით, ნოტარიუს მ. ბ.-ს დაკითხვის შედეგად, დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

4.1. მ. გ.-მ 2008 წლის 8 ივლისს გასცა მინდობილობა დ. თ.-ს სახელზე, მასზედ, რომ დ. თ.-ს უფლება ჰქონდა მ. გ.-ს სახელით დაედო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება და მისი სახელით განეხორციელებინა კანონით ნებადართული ყველა ქმედება. მ. გ. თავად გამოცხადდა ნოტარიუს მ. ბ.-სთან და თავადვე მოაწერა ხელი აღნიშნულ მინდობილობას;

4.2. მ. გ.-მ მინდობილობის გაცემის თაობაზე ნება ნოტარიუსთან გამოხატა, სადაც ხელშეკრულება შედგა და მ. გ.-მ აღნიშნულ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა. მ. გ.-ს დ. თ.-ს სახელზე მინდობილობის გაცემის დროს ჰქონდა შესაძლებლობა იმისა, რომ გარიგების შინაარსს გაცნობოდა. საწინააღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ გარიგების დადებაზე ნების ნოტარიუსთან გამოვლენის დროს,



მოწმდება ნების გამომვლენი პირის ქმედუნარიანობა და უფლებამოსილება. ნოტარიუსი ნების გამომვლენს უმარტავს გარიგების შინაარსს და მის თანმდევ შედეგებს. სადავო გარიგების ტექსტით, რომელსაც მ. გ. აწერს ხელს, დასტურდება, რომ ნოტარიუსმა შეამოწმა მ. გ.-ს ქმედუნარიანობა, გარიგების დადების ნების ნამდვილობა და ისე დაამოწმა ხელშეკრულება. აღნიშნული გარემოება დაადასტურა თვით ნოტარიუსმა მ. ბ.-მაც, რომლის განმარტებით, ნების ნამდვილობის შემოწმება და გარიგების შინაარსის განმარტება მისი ვალდებულებაა და იგი აღნიშნულ მოვალეობას ყოველთვის პირნათლად ასრულებს. სასამართლო განმარტავს, რომ კიდევ რომ ნოტარიუს მ. ბ.-ს მ. გ.-სათვის არ განემარტა ხელშეკრულების შინაარსი, ნების გამომვლენისა და ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დროს, მ. გ.-ს ყველა სუბიექტური და ობიექტური გარემოების გათვალისწინებით, ჰქონდა შესაძლებლობა იმისა, რომ თავად გაცნობოდა იმ დოკუმენტს, რომელსაც ხელს აწერდა. სასამართლო ითვალისწინებს რა, რომ მ. გ. არის ქმედუნარიანი პირი, ხელშეკრულების ხელმოწერის დროს 39 წლის, მისთვის ქართული მშობლიური ენაა, ხელშეკრულება ერთგვერდიანია, ხელშეკრულების შინაარსი დოკუმენტიდან ნათლად და მკაფიოდ იკითხება, ხელშეკრულების შინაარსი შეესაბამება ხელშეკრულების სათაურს „მინდობილობა“, ამიტომ მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების შინაარსის გასაგებად მას ესაჭიროებოდა მხოლოდ აღნიშნული დოკუმენტის წაკითხვა. უფრო მეტიც, ამისათვის საკმარისი იყო თუნდაც დოკუმენტის სათაურისათვის ყურადღების მიქცევა. პალატა განმარტავს, რომ დოკუმენტის შინაარსის ცოდნა ან არცოდნა სუბიექტური კრიტერიუმია, შესაბამისად, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა სუბიექტურ კრიტერიუმთან მიმართებით შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო ხელმძღვანელობს პრეზუმფციებით, შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების არსებობის პირობებში ივარაუდება, რომ პირი დოკუმენტზე ხელის მოწერის დროს იცნობდა დოკუმენტის შინაარსს, საწინააღმდეგოს დაშვების შემთხვევაში კი არსებობს პრეზუმფცია იმისა, რომ მ. გ. უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებდა დ. თ.-სადმი ნდობის არსებობის გამო.

4.3 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 26 იანვრის განაჩენთან დაკავშირებით პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია ქმედების შეფასებისა და აღნიშნული ქმედების თანმდევი შედეგების მატერიალურ სამართლებრივი საფუძვლები. შესაბამისად, მართლსაწინააღმდეგო ქმედების შეფასების კრიტერიუმები თავისი თანმდევი შედეგებით სამოქალაქო სამართალწარმოებაში ინდივიდუალურია, რაც იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის წესით დადგენილი მოტყუების ფაქტი შეიძლება სამოქალაქო წესით არ წარმოადგენდეს ქმედების ისეთ შემადგენლობას, რომელიც გარიგების ბათილობას იწვევს. პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 26 იანვრის განაჩენით დადგენილი დ. თ.-ს



მართლსაწინააღმდეგო ქმედება მტკიცებულებას წარმოადგენს დაზარალებულების მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მსჯავრდებულის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის შემთხვევაში და არა გარიგების ბათილობის მოთხოვნით გამართულ სამოქალაქო სამართალწარმოებაში. ამდენად, მართლსაწინააღმდეგო ქმედებას სამოქალაქო სამართლებრივ კონტექსტში შეიძლება სულ სხვაგვარი შეფასება მიეცეს, ვიდრე აღნიშნული სისხლის სამართლის წესით არის დადგენილი. სწორედ აღნიშნული მსჯელობის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ, პალატის მოსაზრებით, მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების განმარტების შედეგად, სამოქალაქო სამართლებრივი კუთხით, დ. თ.-ს მიერ მ. გ.-ს მოტყუება მდგომარეობს არა იმაში, რომ მ. გ.-მ არ იცოდა დ. თ.-ს სახელზე გაცემული მინდობილობის შინაარსი, არამედ იმაში, რომ დ. თ.-მ მ. გ.-ს მიერ გამოვლენილი ნამდვილი ნებითა და მისადმი გამოვლენილი ნდობით ბოროტად ისარგებლა, მისი სახელით დიდი ოდენობით სესხი აიღო და მიითვისა. ამდენად, კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომლითაც დადასტურებულ იქნა დ. თ.-ს მიერ მ. გ.-ს მოტყუების ფაქტი, არ იძლევა მოტყუების საფუძველზე გარიგების ბათილად მიჩნევის საფუძველს, ვინაიდან გარიგების ბათილობა სამოქალაქო სამართლებრივ კონტექსტში შესაფასებელი კატეგორიაა და მართლმდებარე მოტყუების ფაქტი საკმარისი არ არის გარიგების ბათილობისათვის. აღნიშნული მიზნით, ამოსავალი კრიტერიუმი გემოვლენილი ნების ნამდვილობა და გარიგების მონაწილეთა სუბიექტური დამოკიდებულების შეფასებაა.

4.4 პალატა არ იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ დ. თ.-ს აღიარება, სარჩელის ცნობა, მიჩნეულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლით გათვალისწინებულ აღირებად, რაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატა განმარტავს, რომ მითითებული ნორმით გათვალისწინებული ფაქტის აღიარება სამოქალაქო საპროცესო სამართლით უტყუარ მტკიცებულებად მიჩნეული, რადგან იგი ფაქტის აღიარებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ და მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ არის განხორციელებული, შესაბამისად, დავის პროცესში აღირებული ფაქტი სასამართლომ უნდა ამორიცხოს დავის საგნიდან და როგორც უდავო ფაქტი მტკიცებას არ საჭიროებს. ფაქტის აღირების ასეთ მტკიცებულებად შეფასება ემყარება რწმენას, რომ იგი ნამდვილად არსებობს და თვით ის მხარეც არ ხდის სადავოდ, რომელსაც ამ და სხვა ფაქტების საფუძველზე მეორე მხარის უფლებების დარღვევაში ედავებიან. ამასთან, აღიარების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლით გათვალისწინებულ ამა თუ იმ ფაქტის უტყუარად დამდგენ და უდავო მტკიცებულებად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ იგი იმ მხარემ განახორციელოს, რომელთან მიმართებითაც შემდგომში იქნება გამოყენებული და რომელსაც აკისრია აღნიშნული ქმედებისათვის პასუხისმგებლობა. მოცემულ შემთხვევაში, დ. თ.-ს აღიარების საფუძველზე, დ.



თ.-ს მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო, მ. გ.-ს წინაშე მატერიალურად პასუხისმგებელი პირები აღმოჩნდნენ ნ. ბ. და ნ. ს., ვინაიდან აღნიშნული ხელშეკრულებების ბათილობით მათ გასესხებული თანხის დაბრუნების რეალური შესაძლებლობა მოესპოთ. პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სამოქალაქო სამართალურთიერთობა ეფუძნება სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნებს, შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. უფლების კეთილსინდისიერად განხორციელება თავის თავში მოიცავს სამართალსუბიექტის მიერ ნების გამოვლენისას წინდახედულობის ელემენტარული სტანდარტის გათვალისწინებას, რათა მის მიერ წინდაუხედავად გამოვლენილი ნებით დაუშვებლად არ იქნეს ხელყოფილი სხვათა უფლებები. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ კიდევ რომ გაითვალისწინოს მ. გ.-ს მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ მან დოკუმენტს წაუკითხავად მოაწერა ხელი, აღნიშნული წარმოადგენს საკუთარი უფლების იმგვარად გამოყენებას, რომლითაც დაუშვებლად იზღუდება იმ პირის უფლება, რომელიც წინდაუხედავად გამოვლენილ ნებას დაეყრდნო. ამდენად, დ. თ.-ს ჩვენებაზე დაყრდნობით ხელშეკრულებათა ბათილობა გვაძლევს იმგვარ სურათს, რომ წინდაუხედავად ნების გამოვლენი მ. გ. იბრუნებს ბინას, ხოლო ნ. ბ.-ს კი, რომელიც ნოტარიულად დადასტურებული გამოვლენილი ნების ნამდვილობას ენდო, ესპობა გასესხებული თანხის უკან დაბრუნების უზრუნველყოფის საშუალება. საკითხის ამგვარი გადაწყვეტით, ირლვევა დასაცავ უფლებათა სამართლიანი ბალანსი. დ. თ.-ს აღიარება სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი შეიძლება გამხდარიყო მხოლოდ მ. გ.-ს სარჩელის შემთხვევაში დ. თ.-ს წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების გამო და არა მ. გ.-ს სარჩელის შემთხვევაში დ. თ.-ს, ნ. ბ.-სა და ნ. ს.-ს წინააღმდეგ მისი სახელით დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის გამო. პალატა ხაზგასმით განმარტავს, რომ აღიარება მხოლოდ მაშინ წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს, როდესაც სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში პასუხისმგებლობა ამღიარებელს ეკისრება.

სამართლებრივი დასაბუთება

4.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.



პალატა განმარტავს, რომ მართოდ ნების არსებობა არ იწვევს გარიგების დადებას, აუცილებელია, რომ ნება გამოვლენილ იქნას, გარდა ამისა, ნება მიმართული უნდა იყოს სამართლებრივი შედეგის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. აღსანიშნავია, რომ ნება შინაგანი სუბიექტური კატეგორიაა და იგი სამართლებრივ შედეგებს იწვევს მხოლოდ მისი გარეგანი გამოხატვის შედეგად, რაც იმას ნიშნავს, რომ სამართლებრივი შედეგისადმი მიმართული ნება იურიდიულად ქმედითი ხდება მისი გამოვლენის შემდეგ. ნების გამოვლენის ფორმებს უაღრესად დიდი პრაქტიკული დატვირთვა გააჩნია გარიგებებში, ვინაიდან გამოხატული ნებისადმი არსებობს კონტრაქტის მიერ გამოვლენილი ნდობის დაცვის ღირსი ინტერესი, ამიტომ მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული პირის მტკიცება, რომ მას ის ნება არ ჰქონდა, რომელიც გამოხატა, თუ მისი ნების გარეგანი გამოხატულებით მეორე მხარემ კეთილსინდისიერად ირწმუნა, რომ იგი უფლებებით აღიჭურვა. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ ნების გამოხატვა, რომელიც გარკვეული სამართლებრივი შედეგების დადგომისაკენ არის მიმართული დაკავშირებულია არამხოლოდ უფლებების, არამედ მოვალეობების წარმოშობასთან, შესაბამისად, საწინააღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ პირის მიერ გამოვლენილი ნება შეესაბამება მის ნამდვილ ნებას. აღნიშნული პრეზუმფცია ქარწყლდება, თუ დადასტურდება, რომ ნება გამოვლენილ იქნა ისეთ პირობებში, რომელიც გამოვლენილი ნების ნამდვილი ნებისადმი შესაბამისობას გამორიცხავს, მაგალითად, პირის ქმედუნარიობა, სულიერი აშლილობა, ფსიქიკური, ფიზიკური იძულება, მოტყუება, ძილში, ჰიპნოზურ მდგომარეობაში გამოხატული ნება და ა.შ. ეს ისეთი გარემოებებია, როდესაც პირი მოკლებულია შესაძლებლობას მართოს ნების გამოხატვის ფორმები. ეს ის შემთხვევებია, როდესაც პირს შეზღუდული აქვს ე.წ. „მოქმედების ნება“, ანუ ასეთ ვითარებაში იგულისხმება, რომ დაუძლეველ გარემოებათა გამო პირი იმ ნებას გამოხატავს, რომელიც მის ნებას არ შეესაბამება (ძილი, ჰიპნოზის მდგომარეობა, სულიერი ავადმყოფობა და ა.შ.) ან პირი გამოხატავს სხვა პირის და არა თავის რეალურ ნებას (მოტყუება, იძულება და ა.შ.). ასეთ შემთხვევებში, ნების გამოვლენი, რაღა თქმა უნდა, დაცული უნდა იყოს გამოვლენილი არანამდვილი ნების თანმდევი შედეგებისაგან. მოცემულ შემთხვევაში, მ. გ. გამოვლენილი ნების არანამდვილობაზე აპელირებს იმის გამო, რომ მას დ. თ.-სთან ზეპირსიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე სხვა გარიგება უნდა დაედო, რეალურად კი დ. თ.-მ სხვა შინაარსის გარიგებაზე მოაწერინა ხელი. მოსარჩელის, მოცემულ შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარე მ. გ.-ს განმარტებით, მან დოკუმენტს ისე მოაწერა ხელი, რომ არ გაეცნო მის შინაარსს დ. თ.-სადმი ნდობის გამო. აღნიშნული ფაქტობრივი მდგომარეობის სამართლებრივი კვალიფიკაციის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია იმ ფაქტი დადგენა, თუ რა სახის მოტყუება წარმოადგენს გარიგების ბათილობისა და მისი ყველა თანმდევი შედეგის ანუღლირების საფუძველს.



საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს ხდება მაშინ, როდესაც აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლში მოცემულია „თვალსაჩინოების სტანდარტი“, რაც გამოხატულებას პოულობს ფრაზაში „აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა.“ ამდენად, მოტყუების საფუძველით გარიგების ბათილობისათვის აუცილებელია, რომ მოტყუებას ნების გამოძვლენში ისეთი შეცდომის გამოწვევა უნდა შეეძლოს, რომელიც ნების გამოვლენის საფუძველი ხდება. მოცემულ შემთხვევაში, იმ დოკუმენტში, რომელსაც მ. გ.-მ ხელი მოაწერა, დეტალურად, გარკვევით, თანმიმდევრულად აღწერილი იყო გარიგების შინაარსი. შესაბამისად, მ. გ.-ს ჰქონდა დოკუმენტში აღწერილი და მის მიერ გამოსავლენი ნების შეცნობის ობიექტური შესაძლებლობა. რაც შეეხება მოტყუებას და მოტყუების საფუძველზე არანამდვილი ნების გამოვლენას, პალატა მიიჩნევს, რომ მოტყუების დროს პირს შექმნილი უნდა ჰქონდეს ისეთი ობიექტური ვითარება, რომელიც ხელს შეუშლის ნების გამოძვლენს ნამდვილი ანუ მისთვის სასურველი ნების გამოვლენაში და აღნიშნული გარემოება, ყველა ნორმალურ მოაზროვნე ადამიანში არანამდვილი ნების გამოვლენას უნდა იწვევდეს ანუ ადამიანს ობიექტური განსჯის შედეგად არ უნდა ჰქონდეს თავისი ნამდვილი ნების გამოვლენის შესაძლებლობა, შესაბამისად, მოტყუების ფაქტი იმდენად თვალსაჩინო და აშკარა უნდა იყოს, რომ ნებისმიერი საშუალო განვითარებისა და აზროვნების ადამიანის მოტყუება უნდა იყოს შესაძლებელი. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან, მ. გ.-მ იმ დოკუმენტს მოაწერა ხელი, რომელშიც აღწერილი იყო მის მიერ გამოსავლენი ნების შინაარსი, რის შესახებაც მ. გ., მისი განმარტებით, ინფორმირებული არ იყო, ვერ განიხილება დ. თ.-ს მიერ მ. გ.-ს მოტყუებად გარიგების შინაარსში, ვინაიდან პალატა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მ. გ.-ს ჰქონდა დოკუმენტის შინაარსის გაცნობის შესაძლებლობა და დიდი ალბათობით, გაეცნო კიდევ, ხოლო თუ დავუშვებთ, რომ მ. გ. მართლაც არ გასცნობია მინდობილობის შინაარსს და ისე მოაწერა ხელი, აღნიშნული წარმოადგენს დ. თ.-სადმი ნდობით განპირობებულ უხეშ გაუფრთხილებლობას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კი ითვალისწინებს გარიგების ბათილობას იმ შემთხვევაში, როდესაც არანამდვილი ნების ფორმირება მოტყუების საფუძველზე განხორციელდა და არა ნდობით გამოწვეული უხეშ გაუფრთხილებლობის გამო, რაც გამოიხატება ნების გამოძვლენის მიერ დოკუმენტის ხელმოწერაში მისი შინაარსის გაცნობის გარეშე.

პალატა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის დაცვის მიზნებისათვის იმგვარი პრეცედენტის დაშვება, რომ შინაარსის გაცნობის გარეშე ხელმოწერილი დოკუმენტების ბათილობა მოითხოვონ პირებმა, გამოიწვევს სამოქალაქო ბრუნვის შეფერხებას, კერძო სამართალში მოქმედ



კეთილსინდისიერების პრინციპის ბოროტად გამოყენებას. პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალურთიერთობები პირველ რიგში, კეთილსინდისიერების პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს. კეთილსინდისიერება ეს ის კატეგორიაა, რომლითაც ხდება სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა თავისუფალი ქცევის შეზღუდვა, გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა, იმ განზრახვით, რომ არ მოხდეს საკუთარი უფლებების რეალიზაცია სხვისი უფლებების დაუშვებლად ხელყოფის ხარჯზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ გარიგება დადებულია სხვა პირის სახელით, მაშინ წარმომადგენლობითი უფლების არარსებობა არ შეიძლება გამოიყენოს გარიგების მეორე მხარემ, თუკი წარმოდგენილმა ისეთი გარემოებები შექმნა, რომ გარიგების მეორე მხარეს კეთილსინდისიერად ეგონა ასეთი უფლებამოსილების არსებობა. მოცემულ შემთხვევაში, მ. გ.-მ ხელი მოაწერა მინდობილობას, რომლითაც იგი დ. თ.-ს ანიჭებდა უფლებას მისი სახელით დაედო გარიგებები, მათ შორის, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებები. აღნიშნული მინდობილობა წარმოადგენდა მესამე პირებისათვის კანონიერი ნდობის შექმნის საფუძველს. მესამე პირი, რომელიც დ. თ.-სთან დებს გარიგებას, ენდობა ხელმოწერილი, ნოტარიულად დამოწმებული გარიგების შინაარსს. რაღა თქმა უნდა ივარაუდება, რომ ხელმოწერილ და ნოტარიულად დამოწმებულ დოკუმენტში ნების გამომვლენი აცნობიერებდა გამომვლენილ ნებას, რაც იმას ნიშნავს, რომ იცნობდა დოკუმენტის შინაარსს და თუ დაუშვებოდა, რომ მ. გ. არ იცნობდა დოკუმენტის შინაარსს და ისე მოაწერა ხელი, აღნიშნული მ. გ.-ს სამოქალაქო სამართლებრივი რისკია და არა ნ. ბ.-ს. მოცემულ სამართალურთიერთობაში წინ იწევს კონტრაქტის ნდობის დაცვა, შესაბამისად, არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, რომ ნების გამომვლენმა ისე მოაწერა დოკუმენტს ხელი, რომ არ იცნობდა მის შინაარსს, ვინაიდან გასათვალისწინებელია, რომ მესამე პირისათვის, მოცემულ შემთხვევაში, ნ. ბ.-სათვის მ. გ.-ს ნების გარეგანი გამოხატულებით შეიქმნა კეთილსინდისიერი რწმენის საფუძველი, რომ მ. გ. უფლებას ანიჭებდა დ. თ.-ს დაედო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებები. ამდენად, წარმოდგენილმა პირმა ისეთი გარემოებები შექმნა, თუნდაც უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად დოკუმენტის შინაარსის გაცნობის გარეშე მინდობილობაზე ხელისმოწერით, რომ მესამე პირს, მოცემულ შემთხვევაში, ნ. ბ.-ს, კეთილსინდისიერად ეგონა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობა.

პალატა მიიჩნევს, რომ დ. თ.-მ ბოროტად ისარგებლა მ. გ.-ს ნდობით, აიღო დიდი რაოდენობით სესხი, არ დააბრუნა სესხის სახით მიღებული თანხა, რაც მ. გ. არასასურველ შედეგებამდე მიიყვანა. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება, რაღა თქმა უნდა, მ. გ.-ს წარმოუშობს შეცდილების საფუძველს, თუმცა არა ნ. ბ.-სა და ნ. ს.-ს მიმართ, რომლებიც მოცემულ შემთხვევაში, გამომვლენილი ნების



ნამდვილობას ენდნენ, არამედ დ. თ.-ს მიმართ, რომელმაც ბოროტად ისარგებლა მ. გ.-ს მიერ გამოვლენილი ნდობით. ამდენად, პალატა დასკვნის სახით აღნიშნავს, რომ დოკუმენტის ხელმოწერა შინაარსის გაცნობის გარეშე, დოკუმენტში გამოვლენილ ნებას არანამდვილად არ აქცევს, შესაბამისად, არ იწვევს აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე დადებული გარიგებების ბათილობას, თუმცა, ნდობით ბოროტად სარგებლობა და წარმოდგენლის სახელით თანხების აღება და მითვისება, წარმოდგენილი პირის წინაშე სამოქალაქო სამართლებრივი თვალსაზრისით, პასუხისმგებლობის საფუძველია, რაც მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებაში გამოიხატება შესაბამისი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში.

პალატა ყურადღებას ამახვილებს აპელანტის მითითებაზე მოტყუებით დადებული გარიგების შეცილების ვადის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 84-ე მუხლის თანახმად, მოტყუებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში. ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როცა შეცილების უფლების მქონემ შეიტყო შეცილების საფუძვლის არსებობის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, აპელანტების მიერ სარწმუნოდ არ იქნა დადასტურებული შეცილების ვადის ათვლის წერტილი ანუ გარემოება, თუ როდის გახდა მ. გ.-სათვის შეცილების საფუძველი ცნობილი. ამდენად, აპელანტის მტკიცება შეცილების მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია.

5. შუამავამეგობელი სასამართლო დასკვნა

პალატა თვლის, რომ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის საფუძველი.

6. საპროცესო ხარჯები

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაწეული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში ხარჯების გადახდისაგან. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ ნ. ბ.-მ სააპელაციო საჩივრისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით 2 846 ლარი და 40 თეთრი გადაიხდა.



სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ

დ ა ა დ ბ ი ნ ა

1. ნ. ბ.-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება;
3. მ. გ.-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. მ. გ.-ს ნ. ბ.-ს სასარგებლოდ დაეკისროს 2846,40 ლარის გადახდა;
5. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მისი სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით დასაბუთებული განჩინების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის წარდგენის გზით;
6. განჩინების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება განჩინების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია განჩინების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია, განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება განჩინების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

თავმჯდომარე

ქეთევან მუსხიშვილი

მოსამართლეები

ნათია ბუჯაბიძე

ნატალია ნაზღაიძე